განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 16-17.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი : 21.12.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის N457 გადაწყვეტილება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ბაჟუნაიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ალანია - ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა, დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი ექპერტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თვითშეფასების დოკუმენტის და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის #457 გადაწყვეტილების საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მოაზრებულია, ღრმა და სისტემური ცოდნის მიმცემი, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და მისი მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს დარგში წარმატებული საქმიანობისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი საგანამანთლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედიტაციოდ მოემზადებინა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გეგმიური აკრედიტაციისთვის და წარმოადგინა წინამდებარე პროგრამა.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ფარგლებში. მისი სტრუქტურა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე კრედიტების ჯამური მოცულობით 120 ECTS. წელიწადში გათვალისწინებულია 60 კრედიტის, ხოლო სემესტრში 30 კრედიტის ათვისება. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი ანუ 2 წელია. სტუდენტების ინდივიდუალური გეგმის შედგენის შემთხვევაში, ასათვისებელი კრედიტების წლიური რაოდენობა, შეიძლება, იყოს 60-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობაა 75 კრედიტი. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: სავალდებულო სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) - და არჩევითი სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი), პრაქტიკული კომპონენტი (5 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი).

დოკუმენტაციის შესწავლით და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის დღეს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა 2018 და 2021 წლებში, რომლებმაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა დარგის განვითარების თანამედროვე მოცემულობასა და დარგში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკასთან. განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავდა რამდენიმე მიმართულებას: საკადრო ცვლილებებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპონენტში; ტექნიკური ხარვეზების დაკორექტირებას; პროგრამის მიზნების და შედეგების ჩამოყალიბებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად; სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ხდებოდა მისი ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მის განვითარებაში ჩართული არიან არა მხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის განმავლობაში. პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის განახლების პროცესის განმავლობაში ასევე ხაზგასასმელია.

ინფორმაცია პროგრამაზე და საუნივერსიტეტო სიახლეებზე საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია ნებისმირი მსურველისათვის. როგორც თვიშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რაც ასევე გასაუბრების დროს დადასტურდა მოხდა როგორც ქართული ასევე უცხოური ანალოგების მოძიება და მათი დეტალური შესწავლა და განხილვა. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციისა და გარე შეფასების საფუძველზე პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირება, შემდეგი მიმართულებით: 1. პროგრამაში დაზუსტდა და დაიხვეწა მიზნები და შედეგები; 2. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად სასწავლო კურსებში განახლდა სწავლის მეთოდები და შეფასებები, კერძოდ, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით მოხდა განსხვავებული სახის შეფასებების ინტეგრირება, რომელიც ემსახურება კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. 3. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო დისციპლინები, კერძოდ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები, კონფლიქტების დარეგულირებისა და პრევენციის საერთაშორისო მექანიზმები და სხვა. 4. პროგრამის ფარგლებში ზოგიერთ სასწავლო დისციპლინებში მოხდა კრედიტების ხელახლა განსაზღვრა ასათვისებელი მასალისა და ლიტერატურის მოცულობის შესაბამისად. 5. სასწავლო დისციპლინები განახლდა სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 33 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 13 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი და 4 ასისტენტი პერსონალი. თითოეული მათგანის კვალიფიკაცია რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 16-17 ნოემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პროგრამის სტუდენტები
- პროგრამის კურსდამთავრებულები
- დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება სამაგისტრო პროგრამის

ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.10 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- **შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები:** 2.1; 2.3., 3.1; 4.1; 4.2; 4.3; 4.4; 5.1; 5.2.
- **მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები:** 1.1; 1.2; 2.2., 2.4, 2,5, 2.6, 5.3.

სტანდარტი 1. მეტწილად შესაბამისობაშია
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1. კომპონენეტი 1

1. რეკომენდებულიაა მოხდეს პროგრამის მიზნებში საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი შინაარსის დაკონკრეტება, რომ იყოს მკაფიო და მიღწევადი.

სტანდარტი 1. კომპონენეტი 2

2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-2 შედეგში მოხდეს ცოდნა გაცნობიერების და უნარის ნაწილების გამიჯვნა იმისათვის, რომ შედეგი იყოს მკაფიო და გაზომვადი.

3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი მახასიათებლები (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), რათა შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი.

4. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის მე-7 შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება, კერძოდ, ამოღებულ იქნეს დარგობრივ კომპეტენციასთან შეუსაბამო შინაარსობრივი ფორმულირება **,,მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა და **სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში,** და მოხდეს მოცემული დარგისთვის რელევანტური შედეგის ფორმულირება.

5. რეკომენდებულია სწავლის მე-8 და მე-9 შედეგების რეფორმულირება იყოს მკაფიო და გაზომვადი. კერძოდ, დაზუსტდეს რა იგულისხმება ,,მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში, და გაიმართოს წინადადება შინაარსობრივად - ,,ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას“.

სტანდარტი 2. კომპონენტი 2

6. რეკომენდებულია სასწავლო კურსები: 1 გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი; 2. ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე, 3. საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში

7. რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადმოვიდეს შემდეგი სასწავლო კურსები: 1. საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე გამოწვევები, 2. საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე

საკითხები. 3. ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში ან ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი.

8. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა".

სტანდარტი 2. კომპონენეტი 4

9. რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი.

10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მემორანდუმებში მიზნობრივად დააფიქსიროს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც მოემსახურება კონკრეტული დაწესებულება.

სტანდარტი 2. კომპონენეტი 5

11. რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.

სტანდარტი 2. კომპონენეტი 6

12. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.

13. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არ იყოს ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.

სტანდარტი 5. კომპონენტი 3

10. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;

11. რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიით შექმნილი კითხვარების შემუშავება, პროგრამის განვითარების მიზნით, რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასადგენად და შესაბამისი კატეგორიის გამოსაკითხი პირებისგან სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.

12. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.

13. რეკომენდებულია, ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომში პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრას არ დასჭირდება ერთ წელზე მეტი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწა და მიზნობრივად, საგანმანთლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორცილება, რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში.

2. სასურველია ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს პროგრამის სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიართულებით საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის კუთხით.

3. სასურველია, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.

4. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე განახლებული დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება უახლოეს მომავალში, კანონმდებლობით დადგენილი სააკრედიტაციო პროცესების ვადების გათვალისწინებით, ასევე მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

5. სასურველია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომ პერსონალმა უფრო აქტიურად გამოიყენოს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმები, მათი საქმიანობის შეფასების შედეგები საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების შედეგები აუცილებელია ასევე ასახულ იქნეს მათ საქმიანობაზეც.

6. სასურველია ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასების შედეგების არამხოლოდ სტატისტიკის წარმოება, არამედ ანალიზის განხორციელება და პერსონალთან შესაბამისი უკუკავშირი, პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.

7. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმები, რომელბიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ კომუნიკაციას, პერსონალის მოთხოვნებისა და საჭიროებების, ასევე მათ მიერ განხორციელებული აქტივობების კვლევას. აღნიშნული კვლევის შედეგები კი დადარდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და განხორციელდეს მიღებული სიტუაციის ანალიზი, შემდგომი ღონისძიებების დაგემვა-განხორციელების მიზნით.

8. სასურველია დაწესებულების მიერ დამსაქმებლებისგან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

9. სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ,,არგუმენტირებულ პოზიციას“, და მიიჩნია, რომ იმდენად რამდენადაც დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ მოსაზრებები, რაც არ იყოს გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემობებით და არგუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების დასკვნა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზნების მიხედვით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პროფესიული, კარიერული წინსვლის ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის მიზნებში ჩანს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში რა სიღრმისეული ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. თუმცა საკუთრივ პროგრამის მიზნებში უნარების ნაწილში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს (მაგალითად, ,,გამოუმუშაოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი მეცნიერული კვლევების“, გამოუმუშავოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიური ან/და პროფესიული) შინაარსობრივი მახასიათებლები არ არის დაკონკრეტებული, რაც მის მკაფიობას ართულებს. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის მიზნებში საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი შინაარსის დაკონკრეტება, რომ იყოს მკაფიო და მიღწევადი, პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო დონის პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით შესრულებულ შრომის ბაზრის ანალიზი, მოიაზრებს აღნიშნული პროგრამის

კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებისა და მათ წინაშე პოტენციური დამსაქმებლების მიერ წაყენებული მოთხოვნების კვლევას. კვლევისას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი განხორციელდა რამდენიმე მიმართულებით. კვლევის განხორციელებისას გამოყენებულია როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზი, ასევე სახელმწიფო დასაქმების სააგენტოს (hr.gov.ge) ვაკანსიების ანალიზი; ის ასევე ეყრდნობა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი ნაკლებად აჩვენებს პროგრამის დარგობრივ მოთხოვნილებებს. სასურველია, შორმის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწა და მიზნობრივად საგანმანთლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ შეგროვებული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ამსახველი რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების 85% დასაქმებულია. გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებელისა და კურსდამთავრებულების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://gtu.ge პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამის მიზნებში საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი შინაარსის დაკონკრეტება, რათა მიზნები იყოს მკაფიო და მიღწევადი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწა და მიზნობრივად საგანმანთლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში. აქედან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად თანხმობაშია პროგრამის მიზნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ცხრა შედეგი, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებელობას და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის პირველი შედეგი ასახვას ცოდნა გაცნობიერებას, სადაც ჩანს, რომ სტუდენტი ეცნობა ,,საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე სკოლების სპეციფიკას და პარადიგმებს; გლობალიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესებს, თანამედროვე ტენდენციებს; მსფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს, მათ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთაშორისო სამართლის აქტუალურ პრობლემებს“. პროგრამის სწავლის მეორე შედეგი კომბინირებულად ასახავს ცოდნა-გაცნობიერების უნარს. კერძოდ, ,,განსაზღვრავს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე თანამედროვე **საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს** (მათ შორის კრიზისულ სიტუაციებში), აფასებს მათ და მონაწილეობს როგორც პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელი გზებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე მათი მოგვარების/გადაჭრის პროცესში“; რეკომენდებულია შედეგის ამ ნაწილში მოხდეს ცოდნისა და გაცნობიერების უნარის ნაწილების გამიჯვნა რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. პროგრამის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 შედეგები ასახავს უნარებს. კერძოდ:

3. აანალიზებს როგორც **მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებებით არსებულ პრობლემებს,** თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და დარგის სპეციალისტებს სთავაზობს არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრობლემის გადაჭრის ახალ ორიგინალურ გზებსა და მეთოდებს.
4. **ამზადებს** აკადემიურ ნაშრომებს და კვლევით პროექტებს **საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ** შესაბამისი თეორიული ახსნისა თუ ინტერპრეტაციის, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით და აკადემიური თავისუფლების, ეთიკისა და სტანდარტების დაცვით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით წარადგენს ზეპირი და წერილობითი ფორმით საკუთარი კვლევის შედეგებს, დასაბუთებულ დასკვნებს და პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზებს;
5. ამყარებს კომუნიკაციას როგორც დარგის სპეციალისტებთან ასევე **თანამედროვე**

საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკით დაინტერესებულ ნებისმიერ აუდიტორიასთან აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით.
6. ავლენს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს კვლევისათვის** აუცილებელი ლიტერატურისა და თანამედროვე ინფორმაციების ავტონომიურად მოძიებისა და სისტემატიზაციის უნარს და გეგმავს საკუთარი სწავლის შემდგომი გაგრძელების პერსპექტივებს დამოუკიდებლად;
7. **მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა **და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში,** იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადია ავტონომია და ანგარიშვალდებულება. აღნიშნულ შედეგებში არ ჩანს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), მახასიათებლები რაც მის გაზომვადობას გაართულებს. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი მახასიათებლები (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. ამავე დროს, პროგრამის სწავლის მე-7 შედეგი მოითხოვს შინაარსობრივ რეფორმულირებას. კერძოდ, სწავლის მეშვიდე შედეგის მიხედვით **„მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა და **სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში,** იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება“. სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში მონაწილეობა მოითხოვს უფრო მეტ დარგობრივ კომპეტენციას და ამის მიღწევა შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების მოცემულ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. ამიტომ რეკომენდირებულია მოხდეს სწავლის მოცემული შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება და დავიწროება პროგრამის შინაარსის მიხედვით
პროგრამის სწავლის მე-8 და მე-9 შედეგები ასახავს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, სადაც სწავლის მე-8 შედეგი დაზუსტებას მოითხოვს შინაარსობრივი ფორმულირების კუთხით: „აფასებს **მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში,** როგორც აკადემიურ დისციპლინაში, აყალიბებს საკუთარ ეთიკურ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში; ხოლო მე-9 შედეგი შინაარსობრივ გამართულობას „**ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას;** მუშაობს მულტიკულტურულ გარემოში და თავისი საქმიანობის პროცესში იცავს ეთიკურ ნორმებს, პატივს სცემს კოლეგებისა და პარტნიორების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ღირებულებებს.“, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.

საერთაშორისო ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგებისთვის ადგენს შესაბამის სამიზნე ნიშნულს.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლებმა, ასევე სტუდენტებმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონლმა გასაუბრების დროს აღნიშნეს სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმის არსებობა, რაც ასევე მარეგულირებელი და შესაბამისი საანაგარიშო დოკუმენტების შესწავლამაც დაადასტურა. სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები ეცნობებათ შესაბამის პირებს და, ასევე, გაიცემა რეკომენდაციები ცვლილებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაინტერესებული პირები

ფლობენ ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ; სისტემატიურად ეცნობიან ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს და დროულად იღებენ უკუკავშირს პროგრამის ადმინისტრაციის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის კვალიფიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; შრომის ბაზრის ანალიზი; სწავლის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა; ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უხრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებებთან, დამსაქმებლებთან; პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-2 შედეგში მოხდეს ცოდნა გაცნობიერების და უნარის ნაწილების გამიჯვნა რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. 2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი მახასიათებლები (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. 3. რეკომენდებულია მოხდეს სწავლის მე-7 შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება, კერძოდ, ამოღებულ იქნეს დარგობრივ კომპეტენციასთან შეუსაბამო შინაარსობრივი ფორმულირება **,,მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა და **სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში,** და მოხდეს მოცემული დარგისთვის რელევანტური შედეგის ფორმულირება. 4. რეკომენდებულია სწავლის მე-8 და მე-9 შედეგების რეფორმულირება იყოს მკაფიო და გაზომვადი. კერძოდ, დაზუსტდეს რა იგულისხმება ,,მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში, და გაიმართოს წინადადება შინაარსობრივად - ,,ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას”.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის და საგანამანთლებლო პროგრამის შესწავლით, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამაზე მობილობა, შესაძლებელია, განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მისაღები პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ვებგვერდი ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ფარგლებში. მისი სტრუქტურა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე კრედიტების ჯამური მოცულობით 120 ECTS. წელიწადში გათვალისწინებულია 60 კრედიტის, ხოლო სემესტრში 30 კრედიტის ათვისება. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი ანუ 2 წელია. სტუდენტების ინდივიდუალური გეგმის შედგენის შემთხვევაში, ასათვისებელი კრედიტების წლიური რაოდენობა, შეიძლება, იყოს 60-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობაა 75 კრედიტი. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: სავალდებულო სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) - და არჩევითი სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი), პრაქტიკული კომპონენტი (5 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი). პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო საგნების ნაწილში მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია 8 სავალდებულო სასწავლო კურსი: 1. აკადემიური წერა არ აქვს; 2 კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში; 2. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი: თეორია და პრაქტიკა არ აქვს; 4 გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი; 5. ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე, 6. საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიები, 7. კონფლიქტების დარეგულირებისა და პრევენციის საერთაშორისო მექანიზმები, 8. საერთაშორისო მოლაპარაკებების ტექნიკა. აქედან სასწავლო კურსები - 1. აკადემიური წერა; 2 კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში; 7. კონფლიქტების დარეგულირებისა და პრევენციის საერთაშორისო

მექანიზმები, 8. საერთაშორისო მოლაპარაკებების ტექნიკა - პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო კურსებია და სასწავლო კურსების თემატიკიდან გამომდინარე ისინი ნაკლებად უწყობენ ხელს დარგობრივი ცოდნის და უნარების მიცემას და განვითარებას. ეს კარგად ჩანს სწავლის შედეგებში, კერძოდ:

1. განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე სკოლების სპეციფიკას და პარადიგმებს; გლობალიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესებს, თანამედროვე ტენდენციებს; მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს, მათ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთაშორისო სამართლის აქტუალურ პრობლემებს.

2. განსაზღვრავს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე **თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში <u>არსებულ პრობლემებს</u>** (მათ შორის კრიზისულ სიტუაციებში), აფასებს მათ და მონაწილეობს როგორც პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელი გზებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე მათიმოგვარების/გადაჭრის პროცესში;

3. აანალიზებს **როგორც მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში**, ისე **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში <u>სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებებით არსებულ პრობლემებს</u>,** თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და დარგის სპეციალისტებს სთავაზობს არგუმენტირებულდასკვნებსა და პრობლემის გადაჭრის ახალ ორიგინალურ გზებსა და მეთოდებს.

4. **ამზადებს** აკადემიურ ნაშრომებს და კვლევით პროექტებს **საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული <u>ნებისმიერი საკითხის</u>** შესახებ შესაბამისი თეორიული ახსნისა თუ ინტერპრეტაციის, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით და აკადემიური თავისუფლების, ეთიკისა და სტანდარტების დაცვით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით წარადგენს ზეპირი და წერილობითი ფორმით საკუთარი კვლევის შედეგებს, დასაბუთებულ დასკვნებს და პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზებს;

5. ამყარებს კომუნიკაციას როგორც დარგის სპეციალისტებთან ასევე **თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკით** დაინტერესებულ ნებისმიერ აუდიტორიასთან აკადემიური დაპროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით.

6. ავლენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს კვლევისათვის აუცილებელი ლიტერატურისა და თანამედროვე ინფორმაციების ავტონომიურად მოძიებისა და სისტემატიზაციის უნარს დაგეგმავს საკუთარი სწავლის შემდგომი გაგრძელების პერსპექტივებს დამოუკიდებლად;

7. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა **და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში,** იყენებსსტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს დაუზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვებისსაქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადია ავტონომია და ანგარიშვალდებულება.

8. **აფასებს მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებ**ში, როგორც აკადემიურ დისციპლინაში, აყალიბებს საკუთარ ეთიკურ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში;

9. ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში **კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას**; მუშაობს მულტიკულტურულ გარემოში და თავისისაქმიანობის პროცესში იცავს ეთიკურ ნორმებს, პატივს სცემს კოლეგებისა და პარტნიორების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ღირებულებებს.

სწავლის შედეგების დარგობრივი მიმართულების კომპეტენციების კონტექსტში არის ისეთი ზოგად ფორმულირებები, როგორიცაა **,,თანამედროვე საერთაშორისო**

ურთიერთობებში არსებულ პრობლემები“, **,,სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებებით არსებულ პრობლემებს“, ,,საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკ**ითხს“, **,,აფასებს მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში**“, რასაც განაპირობებს პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო სასწავლო კურსებში შესაბამისი სასწავლო კურსების არ არსებობა. აქედან გამომდინარე მსგავსი შინაარსით და სტრუქტურით გაჭირდება უზრუნველყოფა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის, ამიტომ რეკომენდირებულია სასწავლო კურსები: 1 გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი; 2. ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე, 3. საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადმოვიდეს შემდეგი სასწავლო კურსები: 1. საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე გამოწვევები, 2. საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები. 3. ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში ან ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი. აღნიშნული საგნების შესწავლა მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ უსაფრთხოების სეგმენტი საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ღერძია და საერთაშორისო ურთიერთობებში პრობლემების გარკვეული წილი მასზე მოდის, რაც შეეხება სასწავლო კურსებს საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები, ხისტი და რბილი ძალის საერთაშორისო ურთიერთობებში კურსების თემატიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დარგობრივი მიმართულებით სტუდენტის კომპეტენციების გაძლიერებისთვის კრიტიკული გააზრებასა და ანალიზის მიმართულებით, ხოლო ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი, რადგან კურსის თემატიკაში საქართველოს როლი და ადგილი სათანადოდ არის წარმოჩენილი უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა“.

თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა თანმიმდევრული და სათანადოდ დაგეგმილი სამუშაო პროცესი პროგრამის შინაარსზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. ამავე დროს, სასწავლო კურსების უმეტესობის ფარგლებში, სწავლის შედეგების ეფექტური მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, საჭიროა შეფასების კომპონენტების და სწავლება-სწავლის მეთოდების მეტი მრავალფეროვნება და ინდივიდუალურად მორგება თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში.

როგორც გასაუბრების დროს აღნიშნა, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა მისი შედარება ევროპის, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტებთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, კერძოდ, მოხდა უცხოური ანალოგების მოძიება, შესწავლილ იქნა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ასევე ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკის მეცნიერების სკოლის, ლესტერის უნივერსიტეტის, ბერლინის თავისუფალი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, პოტსდამის უნივერსიტეტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის, სტენფორდის უნივერსიტეტის, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის, სინგუას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამებთან. აღნიშნული ანალიზის შედეგად მოხდა პროგრამის კომპლექსური გადახედვა, ამავე დროს, სასურველია მეტი სიზუსტე და დადარების კრიტერიუმების შემუშავება, რათა გამოვლენილი საუკეთესო გამოცდილება უფრო ეფექტურად დაინერგოს განახლებულ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების

მეთოდოლოგია; საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; კურიკულუმის რუკა; სტუ-ს ვებგვერდი, სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ვებ-გვერდი; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვები; ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: 1 გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი; 2. ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე, 3. საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში 2. რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადმოვიდეს შემდეგი სასწავლო კურსები: 1. საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე გამოწვევები, 2. საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები. 3. ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში ან ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი. 3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში აღნიშნულ სწავლის შედეგებთან. შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და კურსის სწავლის შედეგებს. როგორც სპეციალობის, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების გადანაწილება ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსთან. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას. სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს დარგისთვის აქტუალური საკითხები. სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. თვიშეფასების დოკუმენტის და საგანამანთლებლო პროგრამის მიხედვით ძირითადი სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა პროგრამის სტრუქტურის, მიზნების და სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში ცვლილება, რაზეც რეკომენდაცია გაიცა სტანდარტ 2 კომპონენტი 2.2., რომ მოხდეს დარგის შინაარსობრივი მახასიათებების უფრო მკაფიოდ ასახვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა პროგრამის სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუების შედეგები პროგრამის კურიკულუმის რუკა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ასევე გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონლმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ტრანსფერული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, პროგრამას გააჩნია არსებული მრავალფეროვანი სასწავლო კომპონენტებისა და მაღალკვალიფიციური პერსონალის ჩართულობა.

საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურა და მასში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობა, უზრუნველყოფს კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებს. ამ უკანასკნელის საკრედიტო მოცულობა და აქტივობები საკმარისია კვლევის პრაქტიკული ქმედებებისთვის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებისათვის. თუმცა არ არის სამაგისტრო ნაშრომის და პროფესიული პრაქტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი შემუშავებული, შესაბამისად რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრაქტიკული კვლევის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული სასწავლო კურსები კონფლიქტების დარეგულირებისა და პრევენციის საერთაშორისო მექანიზმები, საერთაშორისო მოლაპარაკებების ტექნიკები და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში. ასევე სხვა სასწავლო კურსებში შესაბამისი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. თუმცა სილაბუსებში უფრო შეინიშნება უნიფიცირებული მიდგომა მეთოდებთან მიმართებით, რაც არარელევანტურია. ასევე სხვა სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა, მაგალითად, შემთხვევების შესწავლა, სიმულაციები, როლური თამაშები, დებატები, კვლევითი პროექტები, საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენა და ა.შ. დარგობრივი მახასიათებლით ტრანსფერული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსი აკადემიური წერა.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა. უნივერსიტეტს ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, თუმცა მემორანდუმების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი მიზნობრივად არ არის გაფორმებული მოცემული სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის. აქედან გამომდინარე რამდენად რელევანტურია აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში პროგრამით გათვალისიწინებული პროფესიული პრაქტიკის მიღწევა, რთული სათქმელია, შესაბამისად რეკომენდებულია დაწესებულებამ მემორანდუმებში მიზნობრივად დააფიქსიროს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და იმ სტუდენტების რაოდენობის რომელსაც მოემსახურება კონკრეტული დაწესებულება.

გასაუბრების დროს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა მეტად განავითარონ კვლევითი და პრაქტიკული უნარები საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის შედეგად. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების დროს სტუდენტებმა ნაკლებად გაუსვეს ხაზი ამ მხარდაჭერით სარგებლობაზე.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას; ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს მათთვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების

სახით. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, როგორც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ასევე, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებთან. არსებული მემორანდუმების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტუდენტთა პრაქტიკული, ტრანსფერული და დარგობრივი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუების შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მემორანდუმებში მიზნობრივად დააფიქსიროს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც მოემსახურება კონკრეტული დაწესებულება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ფაკულტეტის ადმინისტრაციის ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს პროგრამის სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიხედვით პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს ანალიზი; • წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; ვერბალური; • ახსნა–განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brain storming); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD); როლური და სიტუაციური თამაშები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება). როგორც საგანმანათლებლო

პროგრამაშია აღნიშნული, სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. თუმცა შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოვლინდა დარგის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე ცოდნის ეფექტიანი ათვისების მიზნით, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების უმრავლესობის შემთხვევაში, საჭიროა სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან. აუცილებელია პროგრამაში არსებულ ზოგიერთ სასწავლო კურსში ისეთი აქტივობების გაზრდა, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამაც დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია; საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა; თვითშეფასების ანგარიში; ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება შუალედური და

დასკვნითი გამოცდით. სასურველი იქნება სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები იყოს მრავალფეროვანი და სტუდენტების შეფასება ხდებოდეს არა მხოლოდ ქვიზებითა და ტესტირებებით, არამედ პრეზენტაციებით, ჯგუფური სამუშაოებით. აქედან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწას და განახლებას. სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად, ასევე, გამოიკვეთა აქცენტი შეფასების მეთოდების ცვლილებაზე, პირველ რიგში, მოდელირების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდების, რაც, შესაბამისად, შემდგომ დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უხდება შესაბამისი ხელმძღვანელის, კომისიისა და რეცენზენტის წინაშე. მაგისტრანტის საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობას იღებს ხელმძღვანელი, რეცენზენტი და შესაბამისი კომისია.

ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა უმეტეს შემთხვევაში სასწავლო კურსების ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, განსაკუთრებით, სემინარების ნაწილში. ამის გარდა, სასწავლო კურსების სილაბუსებში, სასურველია, გაიწეროს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა (კვირები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუ სტუდენტებთან;
ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში არ იყოს ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. კერძოდ, სტუდენტების დაწესებულების მხრიდან იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის

საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო ღონისძიებებში, ასევე საერთასორისო პროექტებშიც. უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის ინვენტარზე, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; კითხვალი და ანალიზი; უნივერსიტეტის ვებგვერდი; ინტერვიუ სტუდენტებთან; ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მიზანია გამოუმუშაოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში. სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი აარჩიოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან, ასევე სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალიდან. დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების

რეჟიმში. ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება კვლევის გეგმის შედგენაში და კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში. მაგისტრანტების ხელმძღვანელები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გადაეხედათ სამაგისტრო ნაშრომებისთვის. მოცემული ნაშრომები სტანდარტების დაცვითაა შესრულებული და აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი; საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება; დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია; აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; აკადემიური პერსონალის კვლევის მაჩვენებელი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის

აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის მიერ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგნმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის (კერძოდ, თვითშეფასების დოკუმენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების) შესწავლამ და ანალიზმა, ხოლო მეორეს მხრივ, ინტერვიუმ პროფესორ-მასწავლებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ფაკულტეტის სხვა ადმინისტაციულ პერსონალთან ნათლად აჩვენა, პროგრამის განმახორციელებელ პეროსნალს აქვს საგანამანათლებლო პროგრამით დასახული მიზნის და მისი შემდგომი განვითარები რესურსი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების, კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის წარმატებით განხორციელების ხელშეწყობა და ამ კუთხით ფინანსური და მატერიალური რესურსების შეთავაზება. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის წამოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელშიც აკადემიური და მოწვეული პედაგოგების მივლინებისთვის გამოყოფილი არის 15 ათასი ლარი. აღნიშნული ადმინისტრაციული მექანიზმი ლექტორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციების, გადამზადების კურსებისა და ერთობლივ საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც მეტყველებს აკადემიური პერსონალის მაღალ მოტივაციასა და კვალიფიკაციაზე.

ვიზიტმა აჩვენა პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კვალიფიკაცია და ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნას.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* რეგულაციებთან. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 33 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქედან:

- 13 პროფესორი;
- 12 ასოცირებული პროფესორი;
- 4 ასისტენტ პროფესორი;
- 4 მოწვეული მასწავლებელი.

ამჟამად სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხული 85 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის და პროგრამის მიზნებისა და შედეგების სრულფასოვანი განხორციელებისთვის აღნიშნული პერსონალის რაოდენობა სრულებით საკმარისია. აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასახულია სამუშაოს აღწერილობა, თანამდებობრივი

ინსტრუქცია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი გარდა სალექციო და სასემინარო საქმიანობისა, აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა, რაც ასახულია მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. აღსანიშნავია ადმინისტრაციის ჩართულობა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხარისხის სამსახური, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ინტერესდებიან პროფესორ-მასწავლებლების საჭიროებებით და აკადემიურ პერსონალის მოთხოვნებს სწრაფად და ეფექტურად ეხმაურებიან. აკადემიურ პერსონალი უზრუნველყოფილია უახლესი დარგობრივი და მომიჯნავე ლიტერატურით; წიგნებსა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა ტექნიკურად უზრუნველყოფილია; თვითშეფასების დოკუმენტში მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით ახალი ლიტერატურის შესყიდვის მიზნით 2017 წლიდან გაწეული იქნა ფინანსური ხარჯი:

- 2021 წელს - 70 000 ლარი;
- 2020 წელს - 65 000 ლარი;
- 2019 წელს - 60 000 ლარი
- 2018 წელს - 60 000 ლარი
- 2017 წელს - 60 000 ლარი

ინტერვიუს დროს ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომდევნო წლების ბიუჯეტში ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი ფინანსები გამოიყოფა.

უსდ-ში ვიზიტის დროს საუნივერსიტეტო რესურსების დათვალიერების დროს გამოიკვეთა პროგრამის განხორციელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით და საძიებო სისტემით სათანადოდ არის აღჭურვილი. პროგრამის ფარგლებში წამროდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ძირითადი ლიტერატურა ბეჭდური და ციფრული ფორმატით წარმოდგენილი არის ბიბლიოტეკაში და იგი მარტივი საძიებო სისტემით იძებნება. თუმცა სილაბუსებში მოყვანილი დამატებითი ლიტერატურის ძიებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა თვალშისაცემი გარემოება. ეს უკანასკნელი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში არ იძებნება. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლის პროცესში სტუდენტის დამატებითი ლიტერატურით უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა და მათი მიწოდება სტუდენტებისთვის სწავლის პროცესშიეტაპობრივად ხორციელდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულებით უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი პროცესების სრულყოფილ წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამუშაო აღწერილობა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური დატვირთვის სქემის შაბლონი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის *სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის* აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება და მას ხელს უწყობს: 1. **უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სტრუქტურაული ერთეული.** კვლევითი საქმიანობა ხორციელდება სტრუქტურული ერთეულის-კვლევითი დეპარტამენტის-კოორდინაციით და ხარისხის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. კვლევითი საქმიანობის საკონტროლო მექანიზმად გამოიყენება აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში, სადაც ასახულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა. 2. **სამეცნიერო საქმიანობა.** სამეცნიერო საქმიანობა (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება და ა.შ.) მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. **3. საგამომცემლო საქმიანობა.** პერიოდულად მიმდინარეობს ახალი ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოცემა. *ფაკულტეტის ბიუჯეტში 10 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად გამოიყოფა თანხები სასტამბო და საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.* **4. კვლევითი საქმიანობის ანალიზი და შეფასება.** შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშით, ამ მიზნით შექმნილია ანალიზისა და შეფასების სისტემა, რომელიც დოკუმენტურად არის აღწერილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. **5. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და პროფესორების დახელოვნება.** სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი უცხოელ კოლეგებთან, უსდ-ს და სხვავდასხვა კვლევით ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ერთობლივი კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ღონისძიებებისა და გადამზადების კურსების ორგანიზება-მონაწილეობის საკითხში. სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობით აქტიურად იმდიდრებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებული კავშირები იკვეთება არა მხოლოდ დასავლურ, არამედ ჩინეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძეჯიანგ გუნშანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. ფაკულტეტზე არსებობს დიპლომატიური ლაბორატორია, პოლიტიკისა და სამართლის კვლევების ინსტიტუტი და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე აკადემიური პერსონალი სტუდენტებთან ერთად ახორციელებს კვლევით პროექტებს, საგნმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებს. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტმა და

ჩინეთის კვლევითმა ინსტიტუტმა მიმდინარე სასწავლო წელს ახალი პროექტი დაიწყო: საქართველო და ჩინეთი: პარტნიორობა ახალი გამოწვევების და თანამშრომლობის განვითარება ,,ერთი სარტყელი, ერთი გზის"ინიციატივის კონტექსტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურთან; აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ინტენრაციონალიზაციის მიზნით ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი ფაკულტეტის ბიუჯეტი და ბიუჯეტიდან დავიანსებული მივლინებები უცხოეთის უსდ-სთან, კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ *სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის* ადმინისტრაცია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით მუდმივად ზრუნავს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. ეს მიღწეულია: 1. თანამედროვე საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილი (პროექტორები, სამუშაო მაგიდები და სკამები და ა.შ.) აუდიტორიებითა და საკონფერენციო დარბაზებით; 2. კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით; 3. ბიბლიოთეკით, რომელიც მუდმივად ივსება ახალი ლიტერატურით და ელექტრონული, ციფრული ბაზებით ((Science Direct; Scopus,Web of Science, Cambridge Journals, IMF e-library, Sage Journals, e-elgar.com, Duke University Press, Heinonline; 4. საფაკულტეტო დონეზე არსებული კველვითი ინსტიტუტების საბიბლოთეკო რესურსები; 5. სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემით - https://elearning.gtu.ge/ და vici.gtu.ge .

მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და რესურსების ვიდეო დათვალიერება; შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დასტურდება სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა ფაკულტეტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კვლევითი ინსტიტუტების, მათი საბიბლიოთეკო რესურსების და ინფრასტრუქტურის ვიდეო დათვალიერება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *სტუ-ს* საერთო ბიუჯეტი იქმნება სხვადასხვა პროგრამის სტუდენტების სწავლების გადასახადისა და სხვადასხვა შემოსავლებისგან. პროგრამის ბიუჯეტი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის. ბიუჯეტი სათანადოდ არის გაწერილი და მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამის მოსალოდნელი შემოსავლები. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა სასწავლო და კვლევითი პროექტებისათვის მოითხოვოს თანხები, რაც მეტწილად მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამისათვის აუცილებელ სხვა ხარჯები (ლიტერატურის შეძენა, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.) უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან იფარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის ბიუჯეტი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხორციელდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია, შეიცვალა მათი ფუნქციები და ვალდებულებები, გაიზარდა მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, ასევე დამატებით გამოთხოვილი და ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ შემუშავებული მთელი რიგი შიდა აქტების მეშვეობით, რომელთა შორის ძირითადია: 1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“;

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა მოქმედებს PDCA ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებამ განახორციელა მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რომლის საფუძველზე მთლიანად შეიცვალა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მუშაობის პრინციპები, გაძლიერდა ფაკულტეტზე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურული ერთეულები, განხორციელდა მთელი რიგი ფუნქციების დელეგირება და თანამშრომელთა დატრენინგება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მექანიზმების დასანერგად საჭირო ღონისძიებების გატარება. აღნიშნული რეორგანიზაციის პროცესში ჩართული იყო როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის, ისე მთლიანად უნივერსიტეტის პერსონალი. მათი საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის ასევე ჩატარდა ლექციების ციკლი, მათ შორის, სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული შიდა დოკუმენტის პროექტი, რომელიც იქნება კოდექსური სისტემის და თავს მოუყრის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო რეგულაციებს. თუმცა აღნიშნული აქტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხილვისა და საბოლოოდ დამტკიცების პროცესის დასრულებამდე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა აქტები, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს პროგრამების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს. სწორედ ასეთია ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ.“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა სააკრედიტაციოდ შემოტანილ პროგრამასთან დაკავშირებით, ამ კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმი, რომლებიც არ წარმოდგენილა. თუმცა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე შექმნილია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების კომისია (ფაკულტეტის ბრძანება N145/12, 11.01.2021), რომლის წევრები არიან პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სტუდენტთა წარმომადგენელი. აღნიშნული კომისიის მუშაობის ოქმების საფუძველზე, იკვეთება, რომ პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე მათ მიერ განხილული და შემუშავებული წინადადებები, რეკომენდაციების სახით, წარდგენილ იქნა თვითშეფასების ჯგუფისათვის.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მუდმივად იღებს მათგან მხარდაჭერასა და უკუკავშირს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნებისათვის. პერსონალის საქმიანობის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვების, თავად პერსონალის გამოკითხვების საფუძველზე, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები. ამასთან, პროგრამის თვითშეფასებაზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ასევე დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მსოფლიოში არსებული კოვიდ-პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროცესების

წარმართვის მიზნით, შექმნილია სპეციალური ელექტრონული პორტალები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვებს ასევე ახორციელებს აღნიშნული პორტალების მეშვეობით, ელექტრონულად. საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალების ფუნქციონირება მოწესრიგებულია შიდა რეგულაციებით, ხოლო სტუდენტებისა და პერსონალის დასახმარებლად შექმნილი და საჯაროდ განთავსებულია სპეციალური ინსტრუქციები.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა სურათი, რომლის მიხედვითაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. ისინი იცნობენ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, მათი საქმიანობის შეფასების პრინციპებსა და პროცედურებს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მხრიდან უფრო აქტიურ ქმედებებსა და მეტ ძალისხმევას მოითხოვს იმის უზრუნველყოფა, რომ პერსონალმა უფრო აქტიურად გამოიყენოს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმები, მათი საქმიანობის შეფასების შედეგები საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების შედეგები აუცილებელია ასევე ასახულ იქნეს მათ საქმიანობაზეც და თუკი პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, თანამედროვე მიდგომები ასევე ასახულ იქნეს შესაბამის სილაბუსებში. აღნიშნულის თაობაზე დეტალური მსჯელობა მოცემულია შესაბამისი სტანდარტის აღწერაში.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის არამხოლოდ სამეცნიერო საქმიანობა შეფასდეს გამოკითხვების საფუძველზე, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, მათთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმები, რომელბიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ კომუნიკაციას, პერსონალის მოთხოვნებისა და საჭიროებების, ასევე მათ მირ განხორციელებული აქტივობების კვლევას. აღნიშნული კვლევის შედეგები კი დადარდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და განხორციელდეს მიღებული სიტუაციის ანალიზი, შემდგომი ღონისძიებების დადგემვა-განხორციელების მიზნით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს:

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე განახლებული დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება უახლოეს მომავალში, კანონმდებლობით დადგენილი სააკრედიტაციო პროცესების ვადების გათვალისწინებით, ასევე მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
2. შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომ პერსონალმა უფრო აქტიურად გამოიყენოს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმები, მათი საქმიანობის შეფასების შედეგები საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების შედეგები აუცილებელია ასევე ასახულ იქნეს მათ საქმიანობაზეც.
3. ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასების შედეგების არამხოლოდ სტატისტიკის წარმოება, არამედ ანალიზის განხორციელება და პერსონალთან შესაბამისი უკუკავშირი, პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.
4. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე,

შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმები, რომელბიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ კომუნიკაციას, პერსონალის მოთხოვნებისა და საჭიროებების, ასევე მათ მიერ განხორციელებული აქტივობების კვლევას. აღნიშნული კვლევის შედეგები კი დადარდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და განხორციელდეს მიღებული სიტუაციის ანალიზი, შემდგომი ღონისძიებების დაგემვა-განხორციელების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები **1**.თვითშეფასების განაცხადი **2.** საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების კომისიის (ფაკულტეტის ბრძანება N145/12, 11.01.2021) ოქმები 3. ინტერვიუს შედეგები 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვები
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის N457 გადაწყვეტილებით. ამასთან, წინამდებარე პროგრამის განმეორებითი აკრედიტაციის მიზნებისათვის მზადების პროცესში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, პროგრამის გარე შეფასება მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელისგან. მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა თვითშეფასების ჯგუფის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების განაცხადი 2. პროგრამის გარე შეფასება 3. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ფაკულტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად, სულ მცირე წელიწადში ორჯერ, გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, აწარმოებს დაინტერესებული მხარეების - აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას, აანალიზებს კვლევის შედეგებს და წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს რეკომენდაციებს პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამ პროცესისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარების ფორმები, რომლებიც ინტეგრირებულია შიდა ელექტრონულ პორტალზე და გამოკითხვა მიმდინარეობს ელექტრონულ რეჟიმში. ამასთან, ხორციელდება ასევე ლექციების აღრიცხვა და მონიტორინგი. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით, რექტორის ბრძანებით, თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება შესაბამისი კომისია. აქვე გაწერილია მისი ფუნქციები და მიზნები. ასევე აღნიშნულია, რომ კომისია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებად იყენებს სტუდენტების დასწრება-აქტივობის, აკადემიური მოსწრების, პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელს, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი გამოკითხვის, დამსაქმებლების გამოკითხვის, სტუდენტების გამოკითხვის, პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმი წარმოადგენს ნიშანს, მახასიათებელს, რომელიც უნდა იყოს ზუსტი, გაზომვადი და მიღწევადი. უნივერსიტეტის რეგულაციაში მითითებული ზემოხსენებული გამოკითხვების შედეგები კი შეიძლება მივიჩნიოთ კონკრეტული კრიტერიუმების შეფასების მექანიზმებად. მაგალითად, კრიტერიუმად შეიძლება განისაზღვროს პროგრამის შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან, ხოლო დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების/შრომის ბაზრის

ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს პროგრამა აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები და მისი გაზომვის მეთოდოლოგია საჭიროებს დაზუსტებას.

გარდა ზემოხსენებულისა, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები, სტუდენტების მიერ პედაგოგთა შეფასების შედეგები. აღნიშნული შეფასებები მოცემულია მხოლოდ სტატიკური შედეგების ჭრილში, ამ შედეგების ანალიზი პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის დოკუმენტაციიდან არ იკვეთება. გარდა ამისა, გამოკითხვების დოკუმენტები ძალიან ზოგადია და არ ასახავს წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით სრულ და სიღრმისეულ სურათს. ასე მაგალითად, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ოთხმოცმა რესპოდენტმა, თუმცა არაა მითითებული კონკრეტულად რომელი წლების კურსდამთავრებულები იქნა გამოკითხული, თუ კვლევა შეეხო პროგრამის განხორციელების დღიდან არსებულ კურსდამთავრებულთა ჯგუფს. პერსონალის გამოკითხვის შედეგებს კი აკლია სიზუსტე და ინფორმატიულობა დარგობრივ ჭრილში. ამასთან, შესაძლებელია კითხვარების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა იმგვარად, რომ სამიზნე აუდიტორიიდან რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იქნეს ამოღებული, სიღრმისეული ანალიზისა და სრული სურათის მისაღებად. როგორც ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, სტუდენტები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ გამოკითხვებში. კითხვარების ფორმატი შედგენილია თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. თუმცა ასევე მიმდინარეობს მუშაობა კითხვარების ფორმატის შეცვლაზე, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირთა ჩართულობით, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმის უფრო ქმედითუნარიანობას.

პროგრამის მონიტორინგი დამსაქმებლების ჩართულობით ხორციელდება „დამსაქმებლის საათის“ ფორმატში, თუმცა ამ მექანიზმის მცირე და შეზღუდული მასშტაბიდან გამომდინარე (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი/სკოლა) ხელმძღვანელი ინდივიდუალურად ხვდება დამსაქმებლებს, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს, აზერბაიჯანულ და ჩინურ ორგანიზაციებს და ნაკლებად კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს), რთულია სრულყოფილად ან სიღრმისეულად შრომის ბაზარის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, ამ მონაცემების სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის კომპონენტი პროგრამის გასაუმჯობესებლად ლიმიტირებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი, თუმცა ამ დოკუმენტსაც აკლია სიზუსტე და გამჭვირვალობა. დოკუმენტში არ არის მითითებული შესაბამისი წყაროები, კვლევის მეთოდოლოგია ანდა რომელი დამსაქმებლები იქნა გამოკითხული. ამასთან, აღნიშნულ დოკუმენტს აკლია სიღრმისეული კვლევის შედეგები დარგობრივ ჭრილში. ამასთან, დოკუმენტში არ არის გაანალიზებული დამსაქმებელთა მოლოდინები და საჭიროებები პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ.

დაწესებულება იკვლევს კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკასა და მათ კარიერულ განვითარებას, თუმცა კონკრეტული მონაცემები, თუ რომელ სექტორში (საჯარო, კერძო, საერთაშორისო, არასამთავრებო) საქმდებიან კურსდამთავრებულები, ხელმისაწვდომი არ არის.

გარდა ზემოხსენებულისა, შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზი გაწერილია ფაკულტეტის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში, თუმცა ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში, ხარისხის სამსახურის მიერ ტარდება და წარსული გამოცდილებით, ფაკულტეტის მენეჯერის მიერ მსგავსი კვლევის ჩატარების პრეცედენტი არ მოიძებნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის

განხორციელების მექანიზმი დაიხვეწოს და მიეცეს მეტად ქმედითი და პრაქტიკული სახე, რომლის შედეგების გამოყენება რეალურად იქნება შესაძლებელი პროგრამის შინაარსის გაუმჯობესებისათვის. აქვე ხაზგასასმელია დამსაქმებელთა როლი პროგრამის განვითარების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას დამსაქმებელთა საკმაოდ დიდი ჩამონათვალი აქვს მითითებული, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები (მათი ძირითადი ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურებს), ინტერვიუს შედეგებმა ვერ დაადასტურა მათი ჩართულობა. ისეთი მრავალფეროვანი და დასაქმების ფართო შესაძლებლობის მქონე პროგრამისათვის, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან მუდმივი კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთის მხრივ, დამსაქმებელთა სპექტრის გამრავალფეროვნება (საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციები) და მათი ინტენსიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.

ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების დასრულების შემდგომ, სტუდენტები ახორციელებენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას. აღნიშნული შეფასებები კი წარედგინება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში იგი დადარდა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს და თვითშეფასების ჯგუფმა გაიზიარა სხვა დაწესებულებების გამოცდილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

4. თვითშეფასების განაცხადი
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვების შედეგები
6. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი
7. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;
2. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიით შექმნილი კითხვარების შემუშავება, პროგრამის განვითარების მიზნით, რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასადგენად და შესაბამისი კატეგორიის გამოსაკითხი პირებისგან სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.
3. შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.
4. ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნები ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომი პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულების მიერ დამსაქმებლებისგან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

- პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39 გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირაკლი მანველიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლაშა ბაჟუნაიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სალომე ალანია

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო უგრეხელიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიგი გიოშვილი